ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2381030

ნომერი: AR1368579

თარიღი : 05.01.2016

გაცემის თარიღი : 11.01.2016

გაცნობის თარიღი : 12.01.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მტკვრის მარჯვენა სანაპირო , ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორია(ნაკვ.5/35);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ფოჩიანი პ/ნ 27001002771
- თბილისი დიდი დიღომი დ.თავდადებულის ქ. N 18 ბ. 44

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ შემდეგს:

,,ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის შექმნისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის 2014 წლის 30 დეკემბრის #20–104 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) თანახმად ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის ძირითადი მიზანია განახორციელოს ერთიანი და საჯარო ხელისუფლება ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით. სამსახურის კომპეტენციას წარმოადგენს ქალაქის მშენებლობისა და კეთილმოწყობის რეგულირება. ამავე დებულების შესაბამისად, სამსახურს თავისი ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით, უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება. სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესების მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება.

`სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ~ საქართველოს კანონის ამოცანაა ტერიტორიების და დასახლებათა განვითარება სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პრინციპები, რომლებიც ეკონომიკური და სხვა საქმიანობის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმალიზებით, ტერიტორიებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებით უზრუნველყოფს ახლანდელი და მომავალი თაობებისთვის ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს არსებობას. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მასთან დაკავშირებული უფლებამოსილი ორგანოს მიერ განხორციელებული თითოეული ქმედება უნდა შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს. ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახური ქ. თბილისის მასშტაბით, როგორც არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროში ერთადერთი ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმხორციელებელი ორგანო არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულია იზრუნოს ქალაქის მხატვრული იერსახის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რათა სახელმწიფომ და საზოგადოებამ არ მიიღოს შენობა-ნაგებობათა და საერთო ჯამში დედაქალაქის დამახინჯებული იერსახე.

ასევე ინფორმაციის სახით გაცნობებთ: დღევანდელი მდგომარეობით ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს პრეროგატივა გახდა ჯიხურებისთვის იჯარის წესით ადგილების გაცემა, რისთვისაც გააჩნია მისაღები იერ-სახის პროექტები, ცალკე მდგომი ან შეწყვილებული ობიექტებისთვის. ნებართვის მისაღებად გამოცხადებული იყო აუქციონი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურის უფლებამოსილებიდან გამომდინარე (გადასინჯოს წარმოდგენილი საპროექტო ობიექტების ვიზუალური მხარე და მისი შემდგომი განვითარების კუთხე) , არქიტექტურის სამსახურს თქვენ მიერ ატვირთული ფოტომონტაჟის შესაბამისად დროებითი სტატუსის მქონე ჯიხურის განთავსება მიზანშეწონილად არ მიაჩნია, მით უმეტეს, რომ ტერიტორიაზე მსგავსი პრეცენდენტის დანერგვა გამოიწვევს ტერიტორიის შემდგომ მიზანშეუწონელ განვითარებას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.